



საკანონმდებლო სიახლეების

ცნობარი

(2021 წლის იანვარი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2021 წლის იანვრის თვეში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2021 წლის 5 იანვარს, რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში. აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად, კოდექსის რამდენიმე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. „6. დავის განმხილველ ორგანოებს უფლება აქვთ, საჩივარი განიხილონ დისტანციურად, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით. მათ ასევე უფლება აქვთ, საჩივარი განიხილონ მომჩივნის დაუსწრებლად, თუ საქმეში არსებული მასალებიდან სრულად დგინდება დავის საგანთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები.“.

2. 309-ე მუხლის 112-ე და 113-ე ნაწილი:

„112. 2020 წლის 1 მაისიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, აგრეთვე 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში დამქირავებელი უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1500 ლარს არ აღემატება. აღნიშნული შეღავათი არ ვრცელდება, საბიუჯეტო ორგანიზაციაზე; საქართველოს ეროვნულ ბანკზე; ეროვნულ

Page 1 of 10



მარეგულირებელ ორგანოზე; საწარმოზე, რომლის აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი და ამ საწარმოს მიერ დაფუძნებულ/შვილობილ საწარმოზე, თუ ეს საწარმო მის მიერ დაფუძნებული/შვილობილი საწარმოს აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს.

113. პირი უფლებამოსილია 2020 წლის 1 მარტიდან 6 კალენდარული თვის (საანგარიშო პერიოდის), აგრეთვე 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის (საანგარიშო პერიოდის) განმავლობაში გაწეული იჯარის/ლიზინგის მომსახურება დღე-ით დაბეგროს ამ მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის ფაქტობრივად გადახდის საანგარიშო პერიოდში.“;

კოდექსის 114-ე ნაწილის შემდეგ დამატა შემდეგი შინაარსის 114¹ ნაწილი:

„114¹. საქართველოს ფინანსთა მინისტრს/შემოსავლების სამსახურის უფროსს უფლება აქვს, 2020 წლის ნოემბერსა და დეკემბერში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის გადახდისთვის ამ კოდექსით განსაზღვრული ვადა გაუგრძელოს არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა იმ გადასახადის გადამხდელს, რომელიც ახორციელებს ამ მუხლის 115-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში, ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე კურორტ გოდერძიზე ან მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში. აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს ამ კოდექსით გათვალისწინებული საურავი არ ერიცხება.“;

გ) 115-ე ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„115. ქონების გადასახადისგან, რომლის დეკლარირება ამ კოდექსით 2020 ან 2021 წელსაა გათვალისწინებული, გათავისუფლებულია „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ (სეკ 006-2016):

ა) 55.1 კოდიტ (სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები) ან/და 55.2 კოდიტ (დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

ბ) 56.1 კოდიტ (რესტორნები და საკვებით მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

გ) 56.3 კოდიტ (სასმელებით მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

დ) 79 კოდიტ (ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება.



შენიშვნა: ამ ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი ვრცელდება იჯარით, ღირებულებით ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზედაც, თუ ეს ქონება ამავე ნაწილით განსაზღვრულ რომელიმე საქმიანობაში გამოიყენება.“;

დ) 129-ე ნაწილის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 130-ე ნაწილი:

„130. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) ამ მუხლის 114-ე ნაწილის შესაბამისად გადავადებული საშემოსავლო გადასახადი (საშემოსავლო გადასახადი, რომლის გადახდისთვის ამ კოდექსით განსაზღვრული ვადა გაგრძელებულია), თუ იგი ახორციელებს ამ მუხლის 115-ე ნაწილით გათვალისწინებულ რომელიმე საქმიანობას. ამ ნაწილის გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“;

ე) 130-ე ნაწილის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 131-ე ნაწილი:

„131. ამ კოდექსის 1641 მუხლის მე-2 ნაწილი და 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ხ“ ქვეპუნქტი გამოიყენება 2023 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული საქონლის იმპორტისას. ამასთანავე, 2023 წლის 1 იანვრამდე საქონლის იმპორტისას დღგ-ით დასაბეგრი თანხა (საქონლის ღირებულება საბაჟო მიზნებისთვის) მოიცავს საქონლის იმპორტიდან გამომდინარე, საქართველოში კუთვნილ იმპორტის გადასახდელს, გარდა დღგ-ისა.“.

წინამდებარე კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 131-ე ნაწილის მოქმედება ვრცელდება 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ზემოაღნიშნული კანონის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>,
სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.020226

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2021 წლის 6 იანვარს.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“

2021 წლის 28 იანვარს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ორგანულ კანონში, „საქართველოს შრომის კოდექსში“. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, კოდექსის 50-ე მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:



„11. ეს მუხლი არ ვრცელდება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში საწარმოს გადახდისუუნარობისას საწარმოს გადაცემის შემთხვევაზე.“.

ზემოაღნიშნული კანონის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>,
სარეგისტრაციო კოდით: 270000000.04.001.017997

აღნიშნული კანონი ამოქმედდება 2021 წლის 1 აპრილს.

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2021 წლის 11 იანვარს, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით №996 დამტკიცებულ ინსტრუქციაში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, ინსტრუქციის 40¹ მუხლის მე-5 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის „შენიშვნა“ ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირად, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში, ჩაითვლება პირი:

ა) რომელიც შექმნილია ან რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით (მაგალითად: თიზ-ის საწარმო, სპეციალური სავაჭრო კომპანია, ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი, მაღალმთიანი დასახლების საწარმო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ვირტუალური ზონის იურიდიული პირი);

ბ) რომელიც ახორციელებს საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ სანებართვო საქმიანობას (მაგალითად: აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატის სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირი (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მომწყობი პირისა).



ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹ მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირად არ ჩაითვლება სპეციალური სავაჭრო კომპანია იმ ოპერაციებთან მიმართებაში, რომელთა მიმართ კმაცოფილდება ამავე კოდექსის 24¹ მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა.

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>,
სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017422

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 12 იანვარს.

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2021 წლის 12 იანვარს, კვლავ განხორციელდა ცვლილებები „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით №996 დამტკიცებულ ინსტრუქციაში, კერძოდ, დამტკიცებული ინსტრუქციის 112-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 42-ე, 43-ე და 44-ე პუნქტები:

„42. პირი, რომელიც ახორციელებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 115-ე ნაწილით გათვალისწინებულ რომელიმე საქმიანობას, ვალდებულია საგადასახადო ორგანოს ელექტრონული ფორმით წარუდგინოს აღნიშნული ინფორმაცია, რათა ამავე მუხლის 130-ე ნაწილის მიხედვით, შეუმცირდეს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 114-ე ნაწილის შესაბამისად გადავადებული საშემოსავლო გადასახადი (გადასახადი, რომელზეც გაგრძელებულია საშემოსავლო გადასახადის გადახდისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადა).

43. ამ მუხლის 42-ე პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო განახორციელებს გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე იმ საშემოსავლო გადასახადის შემცირებას, რომელზეც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 114-ე ნაწილის მიხედვით გაგრძელებული იყო



გადასახადის გადახდისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადა.

44. ამ მუხლის 42-ე პუნქტით განსაზღვრული წესით წარმოდგენილი ინფორმაციის დაზუსტების შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე აღდგება ამავე მუხლის 43-ე პუნქტის შესაბამისად შემცირებული საშემოსავლო გადასახადი.“.

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>,
სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017423

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 15 იანვარს და მისი მოქმედება ვრცელდება 2021 წლის 7 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-4/ნ

2021 წლის 14 იანვარს, საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში №01-11/ნ.

აღნიშნული ცვლილებების თანახმად, ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი) მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ი) ზედამხედველი ორგანო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახური;“.



ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>,
სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016832

აღნიშნული კანონი ამოქმედდება 2021 წლის 15 იანვარს და მისი მოქმედება ვრცელდება 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 ივნისის №01-56/ნ ბრძანება

2021 წლის 31 იანვარს, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 ივნისის №01-56/ნ ბრძანებაში განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე ბრძანების სათაური და პრეამბულა ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, ამასთანვე მასში განხორციელდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მათ შორის ბრძანებით დამტკიცებულ დანართ N1-ში, შეიცვალა იმ უწყებათა ჩამონათვალი, რომლებიც ახორციელებენ სამუშაო ადგილებზე ჩასატარებელი ტესტირების პროცესის და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებას, ასევე წინამდებარე წესს დაემატა 3¹ მუხლი, რომლის თანახმადაც, საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით დადგენილი წესის შესაბამისად, სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პირთა ტესტირების შედეგად ეკონომიკური საქმიანობის უფლების მოპოვების მიზნით, ტესტირებას დაქვემდებარებულ პირთა ნუსხა და ტესტირების ჩატარების პერიოდულობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით დადგენილი წესის შესაბამისად, ასევე პირმა, რომელსაც სურს საქართველოს მთავრობის №322



დადგენილებით ნებადართული იმ საქმიანობის განხორციელება, რომელიც ექვემდებარება საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით დადგენილი წესით სავალდებულო ტესტირებას, რეგისტრაცია ტესტირების განხორციელების მიზნით უნდა განახორციელოს ელექტრონულად, ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.moh.gov.ge) განთავსებული ელექტრონული პლატფორმის (www.labour.moh.gov.ge) მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ გარდა ზემოჩამოთვლილისა, ბრძანებაში განხორციელდა სხვადასხვა ცვლილებები და დამატებები, რომლის დეტალურად ხილვა და გაცნობა აუცილებელია დამსაქმებლათათვის.

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016837

აღნიშნული კანონი ამოქმედდება 2021 წლის 31 იანვარს და მისი მოქმედება ვრცელდება 2021 წლის 21 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-10/ნ

2021 წლის 31 იანვარს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-10/ნ-ის საფუძველზე დამტკიცდა „შრომის ინსპექტორთა ქცევის კოდექსი“. შრომის ინსპექტორთა ქცევის კოდექსი ადგენს ქცევის ნორმებსა და სტანდარტებს, რომლებიც მიზნად ისახავს შრომის ინსპექტორთა საქმიანობის წარმართვას სამართლიანად, კანონიერად, მიუკერძოებლად, გამჭვირვალედ, ობიექტურად, კვალიფიციურად, ეფექტურად, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით, დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემით.

კოდექსი ასევე განსაზღვრავს, შრომის ინსპექტორთა ქცევის პრინციპებს, რომელიც მოიცავს კანონიერებას, ერთგულებას, სახელმწიფო და სხვა უწყებათა გავლენისაგან



თავისუფლებას და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს. აღნიშნული კოდექსი ასევე განსაზღვრავს ინსპექტორთა მიერ რესურსების ქმედით გამოყენებას და მათ ურთიერთობას მესამე პირებთან, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ღიაობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა გამოიწვევს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>,
სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016838

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 2 თებერვალს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №2

2021 წლის 8 იანვარს საქართველოს მთავრობის დადგენილება N2-ით დამტკიცდა დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2021 წლის სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამის მიზანია ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება.

პროგრამის განმახორციელებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო. პროგრამის სუბიექტებია სამუშაოს მაძიებლები, დამსაქმებლები, სოციალური პარტნიორები და მასმედიის წარმომადგენლები.

ზემოაღნიშნული დადგენილების ხილვა დეტალურად შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 190020010.10.003.022555

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 1 თებერვალს.



საქართველოს მთავრობის დადგენილება №26

2021 წლის 21 იანვარს, საქართველოს მთავრობის დადგენილების №26 საფუძველზე, „იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის მიერ უცხოელი დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციისა და შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 დეკემბრის №631 დადგენილებაში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების) (შემდგომში – შუამავალი კომპანია) მიერ უცხოელი დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციისა და შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის (შემდგომში – სამინისტრო) წარდგენის წესს, ამავე წესით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად“.

ზემოაღნიშნული დადგენილება იხილეთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 040030000.10.003.022578

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 22 იანვარს.